

შეთანხმება

04.08.2016 წლის იჯარის ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ქუთაისი

13.06.2019წ.

ჩვენ, მხარეები, ერთი მხრივ მეიჯარე

წარმოდგენილი დირექტორის

სახით, ხოლო მეორე მხრივ მოიჯარე -

წარმოდგენილი საფილიალო ქსელის

მართვის კოორდინატორის

07.06.2019წ. ბრძანება #21, საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული კანცელარიის წერილის #საჯარო.../სახით,

ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა შორის 04.08.2016წ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“, იჯარის საგანი - ფართი 10 კვ.მ. მდებარე: ქუთაისი, წერეთლის ქ. N1, ნაკვეთი N2, საკადასტრო კოდი 03.03.21.090) 3.2 და 9.5 პუნქტების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე: **ღაჯორაძე ს.ყ. 03-03-21-568**

1. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული იჯარის ხელშეკრულების ვადა 2019 წლის 04 აგვისტოდან გაგრძელებული იქნეს დამატებით 2 (ორი) კალენდარული წლით და განისაზღვროს 2021 წლის 04 აგვისტომდე.
2. იჯარის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა - 200 (ორასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რჩება უცვლელი.
3. გაგრძელებული პერიოდისთვის საიჯარო ქირის გადახდა მოხდეს ერთიანად, არაუგვიანეს 2019 წლის 14 ივნისს. საიჯარო ქირის ერთიანი ოდენობა, შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური საიჯარო ქირიდან გამოზღვრულ, შეადგენს 4800 (ოთხი ათას ოთხასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4. იჯარის ხელშეკრულების პირობები დანარჩენ ნაწილში რჩება უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთანავე.
6. წინამდებარე შეთანხმების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება მოიჯარეს.
7. შეთანხმება წარმოდგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
8. შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარი ოთრდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელებისათვის, ხოლო თითო ეგზემპლარი - მხარეებს.

მოიჯარე

მეიჯარე - i

11 1 111



იჯარის ხელშეკრულება

ქ. ქუთაისი

2016 წლის 04 აგვისტო

ერთის მხრივ შპს

მისის წარმომადგენელი
და მეორეს მხრივ

(შემდგომში „მოიჯარე“), მისი წარმომადგენლის

დ ბრძანება №21, 31.12.2015წ) სახით, საქართველოს
კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე
ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების საგანი

1.1. შეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს იჯარით ქ.ქუთაისში ა. წერეთლის ქ. №1, ნაკვეთი №2-ში, არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის 10 კვ.მ-ს, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია:

1.1.1 ქუთაისი - ზონა 03

1.1.2 სექტორი - საფიჩხია 03

1.1.3 კვარტალი - 21

1.1.4 ნაკვეთი - 090

1.1.5 ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება

1.1.6 ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო

1.1.7 დაზუსტებული ფართობი - 530 კვ.მ

1.1.8 ნაკვეთის წინა ნომერი - 03.03.21.084

1.1.9 შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი - №1-511,42 კვ.მ

1.1.10 მისამართი - ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. №1, ნაკვეთი №2

1.1.11 იჯარის საგანი - ფართი 10 კვ.მ.

1.1.12 მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 03.03.21.090

1.3 იჯარის საგანზე “მოიჯარემ” უნდა განათავსოს გენერატორი და წყლის ავზი, ასევე მის საკუთრებაში არსებული შენობის კედელზე დაამონტაჟოს კონდენციონერის აგრეგატი.

1.4 მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2

იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

2.1. იჯარის საგანზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლება მოიჯარეს წარმოემყვება წინამდებარე ხელშეკრულების დადებისთანავე;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით იჯარის საგანი მოიჯარეზე მფლობელობაში გადაცემულად მიიჩნევა, რაზედაც მხარეები დამატებით არ აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს;

2.3. მოიჯარე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომეტისათვის სრულად იცნობს საიჯარო საგნის ნიეთობრივ და უფლებრივ მდგომარეობას და სურს სწორედ ასეთი სახით მისი მიღება. წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდგომ მოიჯარის მხრიდან პრეტენზია საიჯარო საგნის ნიეთობრივ და სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით არ მიიღება.

2.5 ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, იჯარის საგნით სარგებლობა წარმოადგენს მოიჯარის უფლებამოსილებას, რომლის გამოუყენებლობა ან/და დაგვიანებით გამოყენება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდაზე უარის თქმას ან/და საიჯარო ქირის ოდენობის შემცირებასა და საიჯარო ქირის გადახდის ვადების ცვლილებას.

მუხლი 3

ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 04 აგვისტოდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით 2019 წლის 04 აგვისტომდე.

3.2. იჯარის ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით:

3.2.1 იჯარის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ არსებული საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლის თაობაზე. ამასთანავე ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე მხარეები ერთმანეთს უდასტურებენ წერილობით და საჯარო რეესტრში იჯარის უფლების გაგრძელების რეგისტრაციით;

3.3 იჯარის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან. მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით.

3.4 იჯარის ვადის გასვლისას მოიჯარე ვალდებულია გამოანთავისუფლოს დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემული იჯარის საგანი და ამისათვის არ არის აუცილებელი მეიჯარის წინასწარი წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნა და გადასცეს იგი მეიჯარეს იჯარის ვადის გასვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ქონების დაბრუნების შესახებ შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3.5 თუ მოიჯარე გადააცილებს ქონების დაბრუნებისათვის 3.4. მუხლით გათვალისწინებულ ვადას, იგი ვალდებული იქნება გადაიხადოს იჯარის ვადის გასვლიდან ქონების ფაქტიურ გადაცემამდე გასული დროისათვის შესაბამისი საიჯარო ქირა.

3.6 მეიჯარე უფლებამოსილია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 (ათი) დღის გასვლის შემდგომ, თუკი მოიჯარის მხრიდან ადგილი არ ექნება იჯარის საგნის გამოათავისუფლებას, ნებისმიერ დროსა და ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე მიავილოს საკუთარი თანამშრომლები ან/და სხვა დაქირავებული პირები იჯარის საგნის გამოათავისუფლებისა და მასზე მოიჯარის ფაქტობრივი სარგებლობის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად, რომლის უარყოფით შედეგებზე მეიჯარე პასუხს არ აგებს მოიჯარის წინაშე. ამასთანავე, მეიჯარის მიერ იჯარის საგნის გამოათავისუფლებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება მოიჯარეს.

3.7 ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე მუხლის 3.6-ე პუნქტში მითითებული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში

მეიჯარეს არ ეკისრება იჯარის საგნიდან გამოთავისუფლებული მოიჯარის ქონების შენახვისა და მოვლის ვალდებულება და შესაბამისად მეიჯარე პასუხს არ აგებს გამოთავისუფლების შედეგად მოიჯარის ქონების შესაძლო დაკარგვა/განადგურებაზე. ამასთანავე, იჯარის საგნიდან გამოთავისუფლებული მოიჯარის ქონების თავისუფალი განთავსება განხორციელდება იმ ადგილებში, სადაც ეს დაშვებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4

საიჯარო ქირა, საიჯარო ქირის გადახედვა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მოიჯარე პირველ მუხლში აღნიშნული ქონებით სარგებლობისათვის იჯარის თანხის ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4.2 მხარეები თანხმდებიან, რომ 4.1 მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდა მოხდეს ერთიანად 2016 წლის 04 აგვისტოს, რომლის ოდენობა შეადგენს 7200 (შვიდიათას ორასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4.3. საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით :

მუხლი 5

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მეიჯარე ვალდებულია:

5.1.1. მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მოიჯარეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იჯარის საგანი, ნამდვილად წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და რომ მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები იჯარის საგანზე;

5.1.2. არ ჩაერიოს მოიჯარეს საქმიანობაში და ხელი შეუწყოს მოიჯარეს იჯარის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში;

5.2 მოიჯარე ვალდებულია:

5.2.1 დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა;

5.2.2 გადაიხადოს მის მიერ იჯარის საგნით სარგებლობის დროს მოხმარებული ელექტროენერჯის, გაზის, წყლის, და სხვ. კომუნალური გადასახადი;

5.2.3 შეინახოს იჯარის საგანი ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში;

5.2.4 გამოიყენოს იჯარის საგანი მხოლოდ ხელშეკრულების 1.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით.

5.2.5 დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო საგანი იმავე მდგომარეობაში, რაც მან მიიღო საიჯარო ურთიერთობების დაწყებისთანავე. ამასთანავე ჩვეულებრივი (ნორმალური) ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

5.2.6 ჯეროვან წესრიგში იქონიოს საიჯარო ფართი, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატივებისა და წესების სრულყოფილი დაცვა, მათ შორის სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები, განახორციელოს საიჯარო ფართის დაზღვევა (ბენეფიციარად „მეიჯარის“ მითითებით), დაუდევრობითა და გაუფრთხილებლობით გამოწვეული დაზიანებები აღნაზღაუროს მეიჯარეს.

5.2.7 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების კონფიდენციალურობის დაცვა.

5.2.8 იჯარის საგანზე კომერციული საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;

5.3 მოიჯარეს უფლება აქვს:

5.3.1 საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ მოაწყოს იჯარის საგანი, კონსტრუქციული ცვლილებების გარეშე და მოქმედი არქიტექტურული ნორმატივებისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით;

5.4. მეიჯარეს უფლება აქვს:

5.4.1 შეამოწმოს იჯარის ექსპლუატაციაში მოქმედების პირობები, ამ მიზნით განახორციელოს საიჯარო მიწის ნაკვეთის ფიზიკურად დათვალიერება მოიჯარის წარმომადგენელთან ერთად, დაწესებული სამუშაო საათების განმავლობაში.

მუხლი 6

ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს ერთი-ერთი ქვემოთ მითითებული საფუძვლით, თუ:

6.1.1. მხარეები წერილობითი ფორმით ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულების შეწყვეტაზე/

6.1.2. თუ მოიჯარის მხრიდან მოხდა ქ. ქუთაისში, წერეთლის №1-ში მდებარე საოფისე ფართის მესაკუთრესთან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, მაშინ მეიჯარემ უნდა დააბრუნოს წინასწარ გადახდილი დარჩენილი თვეების საიჯარო ქირა.

6.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტა იწვევს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იჯარის უფლების გაუქმებას.

მუხლი 7

პირგასამტეხლო

7.1 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მეიჯარის მხრიდან გამოიწვევს კომპენსაციის მოთხოვნას 3000 (სამიათასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნა არ გავრცელდება იმ შემთხვევაში თუ მოიჯარის მხრიდან სრულყოფილად და ჯეროვნად არ შესრულდება 4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

7.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მხრიდან გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული 3 (სამი) თვის საიჯარო ქირის სრულად ანაზღაურებას მეიჯარის სასარგებლოდ.

ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ისინი გამოწვეულნი არიან დაუძლეველი ძალის შედეგად, კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ზლოკადით სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან სხვა ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები).

8.2. ვალდებულებათა შესრულება გადატანილი იქნება ფორს-მაჟორული სიტუაციის ლიკვიდაციამდე. მხარე, რომელსაც შეექმნა ხელშეკრულების შეუსრულებლობის მდგომარეობა ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ მათი დადგომიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს მისი დადგომის შესახებ.

მუხლი 9

მხარეთა პასუხისმგებლობა, დავების გადაწყვეტა და დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. მეიჯარის მიმართ ნებისმიერი ფულადი დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც წინამდებარე ხელშეკრულებიდან ისე სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან, მოიჯარის იმ ქონებაზე, რომელიც დავალიანების არსებობის მომენტისათვის იქნება განთავსებული საიჯარო ქონებაზე, შეიძლება გაგრძელდეს მფლობელობითი გირავნობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს მეიჯარის უფლებამოსილებას დაუყოვნებლივ და მოიჯარის ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილებების გარეშე მოახდინოს ქონების დაკავება და მისი რეალიზება პირდაპირი მიყიდვის გზითა თუ აუქციონის მეშვეობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ საკითხებზე პირველყოფლისა მოქმედებს "კვალიფიციური დუმბისა" და შემდგომ კი "კანონის ანალოგიის" პრინციპი, რაც გულისხმობს ჯერ მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკით წარმოშობილი ჩვეულებების გამოყენებას და შემდგომ კი საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებას.

9.4. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავისა და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ დავას განიხილავს საერთო სასამართლო სისტემა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ (პირველი ინსტანციისა და ზემდგომის) სასამართლოს გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ზრძანება) შეიძლება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის II პუნქტისა

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

9.6. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას, თუ ბათილი დებულების მიუხედავად შესაძლებელი იქნება შეთანხმებული საგნის მიღწევა.

9.7. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო მესამე პირი გადაეცემა საჯარო რეესტრს. ამასთანავე წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯი ეკისრება მეიჯარეს.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები, თითოეული დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ადასტურებენ, რომ : 1. წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და თითოეული მხარის საზოგადოების წესდებას, ადგილი არ აქვს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზს; 2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებას საფუძვლად არ უდევს იძულება, მუქარა ანდა მოტყუება და ისეთი გარემოებები, რის გამოც გარიგება შეიძლება გახდეს საცილო და/ან ცნობილ იქნეს უცილოდ ბათილად; 3. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული დებულება მიღწეულია მხარეთა კონსენსუსის შედეგად.

მუხლი 10

მხარეთა რეკვიზიტები:

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
შაბაძე №291
თბილისი - 01 - აგვისტო 2016 წ.
საჯარო რეგისტრის ხელმძღვანელი: *[ხელმოწერა]*

10

შეთანხმება

04.08.2016 წლის იჯარის ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. ქუთაისი

13.06.2019წ.

ჩვენ, მხარეები, ერთი მხრივ მეიჯარე

წარმოდგენილი დირექტორის

სახით, ხოლო მეორე მხრივ მოიჯარე - სს მიკროსაფინანსო

წარმოდგენილი საფილიალო ქსელის

მართვის კოორდინატორი

, 07.06.2019წ. |

საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული კანცელარიის წერილის

სახით,

ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა შორის 04.08.2016წ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“, იჯარის საგანი - ფართი 10 კვ.მ. მდებარე: ქუთაისი, წერეთლის ქ. N1, ნაკვეთი N2, საკადასტრო კოდი 03.03.21.090) 3.2 და 9.5 პუნქტების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე: **ღღღღღღ ს.ყ 03.03.21.568**

1. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული იჯარის ხელშეკრულების ვადა 2019 წლის 04 აგვისტოდან გაგრძელებული იქნეს დამატებით 2 (ორი) კალენდარული წლით და განისაზღვროს 2021 წლის 04 აგვისტომდე.
2. იჯარის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა - 200 (ორასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რჩება უცვლელი.
3. გაგრძელებული პერიოდისთვის საიჯარო ქირის გადახდა მოხდეს ერთიანად, არაუგვიანეს 2019 წლის 14 ივნისს. საიჯარო ქირის ერთიანი ოდენობა, შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური საიჯარო ქირიდან გამომდინარე, შეადგენს 4800 (ოთხი ათას ოთხასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
4. იჯარის ხელშეკრულების პირობები დანარჩენ ნაწილში რჩება უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთანავე.
6. წინამდებარე შეთანხმების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება მოიჯარეს.
7. შეთანხმება წარმოდგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
8. შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელებისათვის, ხოლო თითო ეგზემპლარი - მხარეებს.

მოიჯარე -

მეიჯარე -

5

